



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
2021 წლის 1 თებერვლის
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.11
სხდომის დაწყების დრო: 17:00

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი ტურაზაშვილი.
დისტანციურ რეჟიმში (Webex პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე წევრები: მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ დავით ჯიბილიანის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირს წარმოდგენილი ჰქონდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, მისი განცხადება თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს. წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დავით ჯიბილიანის მიერ წარმოდგენილი განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ლევან ლატარიას, მაია ბოდაველის, ეკატერინე გვალისა და მაკა ელიბაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლევან ლატარიას, მაია ბოდაველის, ეკატერინე გვალისა და მაკა ელიბაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. ფიქრია ბაქრაძის განცხადების განხილვა წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიქრია ბაქრაძის განცხადებას წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ფიქრია ბაქრაძის განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. 2020 წლის 19 ნოემბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად შემოსული 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ 2020 წლის 19 ნოემბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად შემოსული 2020 წლის საწევრო გადასახადის სხვადასხვა ვადით გადავადების შესახებ დავით ბარბაქაძის, ზურაბ იმერლიშვილის, ლევან ხელაიას, მამუკა ტივიშვილის, სოფიო გოგლიჩიძის, ლევან გაგუას, ედუარდ აღდგომელაშვილის, კახაბერ იოსელიანის, მაგული ლიპარტელიანის, დავით ზურაბაშვილის, დიანა მარტიაშვილის, ნატო პაპუაშვილის, ოლიგო კვინიკაძის, თამარ ნუცუბიძის, ანა გოგოლაურის, თამარ იმნაიშვილის, ია გაბედავას, იოსებ ხატიაშვილის, მანანა გელაშვილის, ქეთევან ჭაბუკიანის და ზაქარია თვალთაშვილის განცხადებებს.

წევრებმა განაცხადეს, რომ კოლეგების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და განისაზღვროს გონივრული ვადა საწევრო დავალიანების გადასახდელად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) ზემოაღნიშნულ პირთა განცხადებები დაკმაყოფილდეს საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების ნაწილში და მათთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2021 წლის 15 აპრილის 18:00 საათი;

(ბ) ეცნობოთ განმცხადებლებს მიღებული გადაწყვეტილებისა და გადავადებულ ვადაში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე.

საკითხი 5. ინგა სეხნიაშვილის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ინგა სეხნიაშვილის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ მას ჰქონდა მარტოხელა დედის სტატუსი (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი) და ეკუთვნოდა შესაბამისი საშელავათო საწევრო, თუმცა 2019 წელს მის მიერ გადახდილი იყო 200 ლარი და ითხოვდა აღნიშნული შეღავათის გათვალისწინებით, მომდევნო წლებზე საწევრო გადასახადის გადანაწილებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ როგორც მარტოხელა დედის სტატუსის მქონე წევრი, განმცხადებელი სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი წლიური საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ ინგა სეხნიაშვილის განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას და წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, ასევე 2019 წელს მის მიერ გადახდილი 200 ლარის გათვალისწინებით, მას 2020 წლის საწევრო გადახდილად ეთვლება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს ინგა სეხნიაშვილის განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე გადახდილად ჩაეთვალოს 2020 წლის საწევრო;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;
- შესაბამისი ცვლილების ასახვა დაევალოს ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 5¹. მერაბ მამულაძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ მერაბ მამულაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2018 წლიდან იგი იყო მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრი (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტები) და ეკუთვნოდა შესაბამისი საშელავათო საწევრო, თუმცა 2018-2019 წლებში მის მიერ გადახდილი იყო 400 ლარი და ითხოვდა აღნიშნული შეღავათის გათვალისწინებით, ზედმეტად გადახდილი საწევრო გადასახადის გადანაწილებას შემდგომ წლებზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ როგორც მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე წევრი, განმცხადებელი სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი წლიური საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს. წევრებმა განაცხადეს, რომ მერაბ მამულაძის განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ასევე 2018-2019 წლებში მის მიერ გადახდილი 400 ლარის გათვალისწინებით, მას 2020 -2021 წლების საწევრო გადახდილად უნდა ჩაეთვალოს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

- დაკმაყოფილდეს მერაბ მამულაძის განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გადახდილად ჩაეთვალოს 2020-2021 წლების საწევრო;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;
- შესაბამისი ცვლილების ასახვა დაევალოს ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 6. 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2020 წლის 19 ნოემბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2020 წლის 1-ელ დეკემბერს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

აღმასრულებელი საბჭოს 30.12.2020 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა 20 კალენდარული დღით, 2021 წლის 20 იანვრამდე.

აღმასრულებელი საბჭოს 20.01.2021 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა დამატებით კიდევ 12 კალენდარული დღით, 2021 წლის 1-ელ თებერვლამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან დღემდე, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების ინფორმირება ინტენსიურად ხორციელდებოდა: საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია გამოქვეყნდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ამასთან, შესაბამის წევრებს ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე არაერთხელ გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ასოციაციისთვის ცნობილ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე. ასოციაციის წევრთა ნაწილმა მომართა ასოციაციას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თხოვნით, რომელიც დაკმაყოფილდა. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, 2021 წლის 1-ლი თებერვლის მდგომარეობით ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობა, რომელთაც არც დავალიანება დაუფარავთ და არც

დავალიანების გადახდის გადავადებით მოუმართავთ ასოციაციისათვის, არის 459 წევრი.

თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფარულ კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0; სხდომაში დისტანციურად ჩართულ წევრებს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ), მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

(ა) აღმასრულებელი საბჭოს 19.11.2020 წლის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გამოცემულ იქნას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრებს შეუწყდეთ ასოციაციის წევრობა “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21³ მუხლის 1-ლი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო (დანართი #1: დავალიანების მქონე წევრთა სია);

(ბ) ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ წევრთა სია განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge. ამასთან, ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, ასოციაციისათვის ცნობილ მობილური ტელეფონის ნომრებზე გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მათთვის წევრობის შეწყვეტის თაობაზე;

(გ) ეცნობოთ ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, რომ მათ მიერ 2021 წლის 01 მარტის ჩათვლით საწევრო დავალიანების გადახდის შეთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგებათ ასოციაციის წევრობა.

(დ) 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე იმ წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს წინამდებარე გადაწყვეტილებით 2021 წლის 15 აპრილამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო

დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 01.02.2021 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 7. 2020 წლის სავალდებულო კრედიტ - დავალიანების მქონე ადვოკატთა საკითხზე მსჯელობა.

წევრებმა მოისმინეს სასწავლო ცენტრის დირექტორის - სალომე ტყეშელაშვილის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ 2021 წლის 1-ლი თებერვლის მდგომარეობით, 2020 წელს პროფესიული ეთიკის სავალდებულო ტრენინგის გავლა ვერ შეძლო 2562-მა წევრმა. შესაბამისად, მათ არ აქვთ დაგროვებული 2020 წლის სავალდებულო 2 კრედიტი.

თავმჯდომარემ მიმართა წევრებს წინადადებით, რომ კრედიტ-დავალიანების მქონე ადვოკატებისთვის განისაზღვროს დამატებითი გონივრული ვადა პროფესიული ეთიკის ტრენინგის მოსმენის და შესაბამისად, 2020 წლის სავალდებულო 2 კრედიტის დაგროვების მიზნით. აღნიშნულ ვადად მან წევრებს შესთავაზა არაუგვიანეს 2021 წლის 15 აპრილი. წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2020 წლის სავალდებულო კრედიტ-დავალიანების მქონე ადვოკატებს, 2021 წლის 15 აპრილამდე მიეცეთ პროფესიული ეთიკის მოდულის გავლის შესაძლებლობა.

საკითხი 8. 2020 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღის განსაზღვრის შესახებ მსჯელობა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღმასრულებელი საბჭოს 27.11.2020 წლის გადაწყვეტილების თანახმად, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, 2020 წლის 5,6,12,13,19,20 და 26 დეკემბერს ჩანიშნული

ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდები გადაიდო არაუადრეს 2021 წლის 15 თებერვლამდე.

ამჟამად, მოქმედი შეზღუდვების შემსუბუქების გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ ასევე ჩასატარებელია 2021 წლის საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდები, გადადებული გამოცდების ჩატარების თარიღებად განისაზღვროს 2021 წლის 4, 5, 9, 10, 11, 12 და 15 მარტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2020 წლის 5,6,12,13,19,20 და 26 დეკემბერის გადადებული საკვალიფიკაციო გამოცდები ჩატარდეს 2021 წლის 4, 5, 9, 10, 11, 12 და 15 მარტს.

საკითხი 9. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ხატია მახათაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2019 წლის ივნისიდან იგი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში პრაქტიკულ კურსს გადიოდა უკვე შერჩეულ სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან, მაგრამ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო, მოუწია მენტორი ადვოკატის შეცვლა და ითხოვდა სტაჟირების გაგრძელებას მის მიერ შერჩეულ სხვა მენტორთან.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ხატია მახათაძის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

(ბ) მარია შირინიანის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თავისი სამუშაო განრიგიდან გამომდინარე, ობიექტური მიზეზების გამო, მას მოუწია პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლა და სურდა სტაჟირების გაგრძელება სხვა მენტორთან, რომელიც ამავდროულად მუშაობდა მის დამსაქმებელ ორგანიზაციაში.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარია შირინიანის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

(გ) მარიამ მაყიშვილის განცხადებას, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად მარიამ მაყიშვილის კანდიდატურა. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე